დამატებითი შეტყობინება

სააქციო საზოგადოება „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) აქციონერთა რიგგარეშე

საერთო კრების მოწვევის თაობაზე

(აქციონერის მიერ დღის წესრიგში საკითხების დამატების შედეგად განახლებული დღის წესრიგით)

ქ. თბილისი **23 თებერვალი, 2026 წელი**

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 13 თებერვლის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების თანახმად, სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2026 წლის 06 მარტს, 18:00 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N4.

საერთო კრების მოწვევის/შეტყობინების ფორმა:

საერთო კრება მოიწვევა შეტყობინების ერთიან ელექტრონულ პორტალზე სს “ქებული კლიმატის“ ავტორიზებული მომხმარებლის გვერდსა და სს „ქებული კლიმატის“ ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით.

სააღრიცხვო დღე, ხმის მიცემის უფლება და კრებაში მონაწილეობის წესი:
საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განსაზღვრულია 20 თებერვალი.
საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან სს „ქებული კლიმატის“ აქციათა ოფიციალური ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან - სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“. აქციონერი, რომელიც კრების სააღრიცხვო დღეს ასეთად მითითებულია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ მიერ წარმოებულ აქციონერთა რეესტრში, უფლებამოსილია, დაესწროს კრებას.
კრებაზე დასწრებისათვის აქციონერმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
აქციონერი, ასევე, უფლებამოსილია, კრების ჩატარებამდე წერილობით წარუდგინოს კრებას დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მისი ნოტარიულად დამოწმებული გადაწყვეტილება. საერთო კრება ვალდებულია, მსგავსად წარდგენილი ხმები, ამ აქციონერის საკუთრებაში არსებულ ხმის უფლების მქონე აქციათა წილის შესაბამისად, გაითვალისწინოს კენჭისყრის შედეგებში.

კრების ჩატარების წესი:
რიგგარეშე საერთო კრება ტარდება წინამდებარე შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე და დროს.
კრების თავმჯდომარეს, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ირჩევს საერთო კრება. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების თავმჯდომარე არ იქნა არჩეული, კრებას თავმჯდომარეობს მისი მომწვევი პირი. ხოლო, თუ საერთო კრებაზე გამოტანილია საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც საერთო კრების თავმჯდომარეს გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი საკითხის განხილვისას, კრებას თავმჯდომარეობს სხვა (დამოუკიდებელი) პირი.

საერთო კრების კვორუმი:
საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერი/აქციონერები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია, იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით, კანონით დადგენილ ვადაში, ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად.

ხმების დათვლის წესი და კრების ოქმი:
ხმის მიცემა განხორციელდება ზეპირი ფორმით, ღია კენჭისყრის საფუძველზე.
კრების დასრულების შემდეგ, 15 დღის ვადაში, შედგება კრების ოქმი, რომელსაც კრებაზე დამსწრე აქციონერები დაადასტურებენ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით.

საერთო კრების განახლებული დღის წესრიგი:
1. მიხეილ თავაძის (პ/ნ 61003002313) გათავისუფლება სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) დირექტორის თანამდებობიდან.
2. სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) დირექტორის თანამდებობაზე საბა ხუციშვილის (პ/ნ 01319090038) დანიშვნა და მისი ანაზღაურების განსაზღვრა.
3. წინამდებარე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, არსებობის შემთხვევაში, ცვლილების გათვალისწინებით, სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) განახლებული სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება.
4. სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) ფინანსური აუდიტის დანიშვნა კომპანიის შეფასების მიზნით.
5. სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) უძრავი ქონებების გასხვისებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა.
6. სს „ქებული კლიმატსა“ (ს/ნ 202283242) და შპს „პრაგმას“ (ს/ნ 402114047) შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გადახედვა.
7. სს „ქებული კლიმატსა“ (ს/ნ 202283242) და სს „სოლვერს“ (ს/ნ 402195691) შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გადახედვა.
8. სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) 2024 წლის 31 ოქტომბრის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე საზოგადოების კაპიტალთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაუქმება და შეცვლილი მონაცემების დაბრუნება 2024 წლის 31 ოქტომბრამდე არსებულ ნიშნულზე.
9. სს „ქებული კლიმატის“ (ს/ნ 202283242) მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, დივიდენდის გაცემის აღდგენის საკითხის განხილა.

საერთო კრებას წარედგინება შემდეგი დოკუმენტაცია:
1. საერთო კრების ოქმის პროექტი (დანართი N1).
2. სადამფუძნებლო შეთანხმება (დანართი N2).

სს „ქებული კლიმატის“ დირექტორი
მიხეილ თავაძე

Mikheil Tavadze 61003002313
Digitally signed by Mikheil Tavadze
Date: 2026.02.24 13:32:15

23 თებერვალი, 2026 წელი